ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს N1 სკოლა

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: მიხეილ ტეფნაძე
(სახელი, გვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ნანა მონიავა
(სახელი, გვარი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

სკოლის მისიაა ისეთი განათლებული,კრიტიკულად მოაზროვნე, ჯანსაღი, ტოლერანტი,კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა - ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და შპს შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 05 ივლისის N1 ოქმით დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

წარმოდგენილი ორი დოკუმენტის სტრუქტურა იდენტურია და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. შესავალი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმის მიზანი და ამოცანები;
3. სკოლის მისია;
4. სკოლის კულტურა;
5. განათლების საფეხურები;
6. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;
7. სასკოლო კალენდარი;
8. სასკოლო საათობრივი ბადე;
9. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, კლასების, დონეებისა და საგნების მიხედვით;
10. შეფასების სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ მ.ა.

11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენისათვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისათვის და სხვა;
12. შეფასების პოლიტიკა (შეფასების მიზანი, პრინციპები, მეთოდები, ქულების გამოანგარიშების წესი);
13. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;
14. ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
15. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები;
16. დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;
17. სავალდებულო და არჩევითი საგნები;
18. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები;
19. დასკვნითი დებულებანი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასების საგანს წარმოადგენდა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. აღნიშნული პროექტის სტრუქტურა მოიცავს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით (შემდეგში ეროვნული სასწავლო გეგმა) დადგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტებს.

პროექტის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს 2017-2018 სასწავლო წელს ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო და სავალდებულო არჩევითი საგნები. საათობრივ ბადეში აზუსტებს შემდეგ საგნებში საათობრივ დატვირთვას. კერძოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შედარებით, გაზრდილია კვირეული საათობრივი დატვირთვა შემდეგ კლასებსა და საგნებში:

- ✓ ქართულ ენასა და ლიტერატურაში: III დაIV კლასებში 1, ხოლო V-VIII კლასებში 2 საათით;
- ✓ მათემატიკაში: I, II, V და VI კლასებში 3, III და IV კლასებში 2, VII და VIII კლასებში 4, ხოლო IX კლასში 1 საათით;
- ✓ ინგლისურ ენაში: I და II კლასებში 3, III-VI, IX-XI კლასებში 2, ხოლო VII და VIII კლასებში 4 საათით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ✓ მეორე უცხოური ენა V კლასის ნაცვლად ისწავლება III და IV კლასებშიც კვირეული 3 საათიანი დატვირთვით.

წარმოდგენილი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ხელს შეუწყობს სკოლის მისიის მიღწევას.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 05 ივლისის N1 ოქმით დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

შეფასება:

გამომდინარე იქიდან, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სკოლის საათობრივი ბადის მიხედვით ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო და სავალდებულო არჩევითი საგნები, საგნების სწავლებისათვის, დაწესებულებაში მოქმედ საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ ე.წ. თემატური და თემატურ-კალენდარული გეგმები. წარმოდგენილი დოკუმენტებით განსაზღვრული წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხოლო შინაარსი შეესაბამება საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისათვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ“ სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივლისის N05-01/35 ბრძანების, „სასკოლო სახელმძღვანელოსთვის - „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ - გრიფის მინიჭების შესახებ“ სსიპ - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის 2011 წლის 10 სექტემბრის N05-01/41 ბრძანებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის განკუთვნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სახელმძღვანელოების/სერიისათვის გრიფის მინიჭების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2012 წლის 18 მაისის N372-ე ბრძანების შესაბამისად არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსს.

გარდა აკადემიური მიმართულებისა, სააღმზრდელო მიმართულებით სადმრიგებლო პროგრამასა და საგანმანათლებლო რესურსების ნაწილებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უნარებისა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებელი სხვადასხვა აქტივობები.

მოსწავლის/მოსწავლეების საჭიროების დასადგენად საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და იგეგმება ცალკეული მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების აქტივობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ცალკეული საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და საშუალება ექნებათ მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 05 ივლისის N1 ოქმით დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- თემატური გეგმებით;
- თემატურ კალენდარული გეგმებით;
- სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით;
- სკოლის მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- კათედრების პორტფოლიოებით.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული პრინციპების, სკოლის საერთო კულტურის, მეთოდიკური ორიენტირების, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვული აქტივობების, ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩოს ნაწილებიდან, ცალკეული კლასის საგნის საგნობრივი ე.წ. თემატური გეგმების ან თემატურ-კალენდარული გეგმების „გაკვეთილის აქტივობების" შინაარსიდან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, სკოლაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. დაწესებულებას არ ჰყავს სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების მოსწავლე.

დასტურდება:

- შპს შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 05 ივლისის N1 ოქმით დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- თემატური გეგმებით;
- თემატურ კალენდარული გეგმებით;
- სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებით;
- კათედრების პორტფოლიოებით.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპები და ამოცანები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტიპები, აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა, შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, მოსწავლის შეფასების კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებიი, ქულების გამონაგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, გაცდენები, შინ სწავლება, შეფასების პოლიტიკა, შეფასების მიზნები, მოსწავლეთა წახალისება, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სტრატეგიები, მიმდინარე შეფასება, შემაჯამებელი შეფასება, შეფასების სტრატეგიები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებულ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა აქტივობებისთვის განკუთვნილი შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეები საუბრობენ შეფასების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ.

დასტურდება:

- შპს შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 05 ივლისის N1 ოქმით დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
- მასწავლებლების პორტფოლიოებით;
- მოსწავლეებთან გასაუბრებით.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

დაწესებულების მიერ შემუშავებული შინაგანაწესისა და მისი დანართის, მშობლებთან ურთიერთობის დებულების, მშობლის სამახსოვროს, მშობლისთვის განკუთვნილი შეფასების უწყისით, საინფორმაციო ფურცელით და სტრუქტურული ერთეულის მშობელთა დარბაზის საშუალებით შესაძლებელი იქნება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მშობლებისათვის და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის უზრუნველყოფა.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესის დანართი N7-ით (მშობლებთან ურთიერთობის დებულებით);
- მშობლის სამახსოვრო ბარათით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- მოსწავლის შეფასების უწყისით;
- საინფორმაციო ფურცლით;
- მშობელთა დარბაზის ოქმებით;
- მოსწავლეებთან გასაუბრებით;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- კლასის დამრიგებლებთან გასაუბრებით.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

შეფასება:

სკოლაში შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების აქტივობების დაგეგმვა. წელიწადში ორჯერ დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია ატარებს შიდასასკოლო მონიტორინგს. საგნობრივი კათედრები განიხილავენ მიმდინარე და გეგმიურ საკითხებს, მათ შორის საგნობრივი სტანდარტების შესრულების თაობაზე. სემესტრის ბოლოს აჯამებენ თითეული მოსწავლის მიღწევებს, კლასის შედეგების საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობის საკითხს. იგეგმება წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის აქტივობები. დირექტორის მოადგილე სემესტრების ბოლოს პედაგოგიურ საბჭოს წარუდგენს სემესტრულ შედეგებს, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექტორის წლიურ ანგარიშს ისმენს პედაგოგიური საბჭო და აფასებს მას, იგეგმება სამომავლო ამოცანები. მათ შორის ახალი სასწავლო სასკოლო გეგმის მიმართულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად განახლებადია ზემოთჩამოთვლილი შეფასებიდან გამომდინარე და ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

დასტურდება:

- „მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ შპს N1 სკოლის დირექტორის 2016 წლის 07 სექტემბრის N05/952 ბრძანებით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებით;
- კათედრის სხდომისოქმებით;
- შემაჯამებელი დავალებების შედეგების სემესტრული ანგარიშებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

შპს N1 სკოლა, საჯარო რეესტრის, 2016 წლის 15 დეკემბრის ამონაწერის მიხედვით მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ირ. აბაშიძის გამ. N13ᵃ-ში, სამსართულიან შენობა-ნაგებობაში, რომლის საერთო ფართიც შეადგენს 1870.69 კვ.მ-ს. (შენობა-ნაგებობა N01/3 – 1506.00 კვ.მ., N02/1 – 226.24 კვ.მ, N03/1 – 31.00 კვ.მ, N04/3 – 107.45 კვ.მ.)

სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო პროცესისათვის, საჯარო რეესტრის ამონაწერის, შენობის გეგმა-ნახაზისა და ვიზუალური დათვალიერების მიხედვით გამოიყენება შენობის სამივე სართული. პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო. პირველი სართულიდან შესაძლებელია დაწესებულების შიდა ეზოში გასვლა, სადაც მოწყობილია მუსიკის კაბინეტი (ღონისძებების დარბაზი) და სპორტული დარბაზი. მეორე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, 10 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი და კომპიუტერების ოთახი. მესამე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები და 15 საკლასო ოთახი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქალაქი ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზირი N13ᵃ (ს.კ. 03.01.24.067)	1870.69

დასტურდება:

- შენობის გეგმა ნახაზით;
- საჯარო რეესტრის 2016 წლის 15 დეკემბრის ამონაწერით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

დაწესებულებას აქვს 32 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების საშუალება. ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს 123 ორადგილიანი, 305 ერთადგილიანი მერხი და 429 სკამი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწესებულების დირექტორთან გასაუბრების მიხედვით, დაწესებულებას ჰქონდა 262 ორადგილიანი და 860 ერთადგილიანი მერხი. დირექტორის განცხადებით, შპს N1 სკოლამ, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას 2017 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით გადასცა 530 მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არსებულ 1132 მერხს გამოაკლდა 530 ერთეული. შპს N1 სკოლას დარჩა 602 მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახსა და განაყოფის ოთახში განთავსებულია დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი. გამოკრულია სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლასა და ი.მ. გელა კვანტალიანს შორის გაფორმებული 2011 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებით, 24 ოქტომბრის, 01, 12 და 24 ნოემბრის სასაქონლო ზედნადებებითა და მომსახურების ღირებულების გადარიცხვის ქვითრებით;
- შპს N1 სკოლასა და ი.მ. გელა კვანტალიანს შორის გაფორმებული 2012 წლის 05 აგვისტოს ხელშეკრულებით, 2012 წლის 03 სექტემბრის მიღება ჩაბარების აქტითა და 2012 წლის 19 (სამი ზედნადები), 23 და 28 აგვისტოს სასაქონლო ზედნადებებით;
- შპს N1 სკოლასა და ი.მ. ალექსანდრე ოდიკაძეს შორის გაფორმებული 2015 წლის 03 და 23 სექტებრის ხელშეკრულებებით, 2015 წლის 12 სექტემბრის სასაქონლო ზედანდებითა და 2015 წლის 20 სექტმებრისა და 04 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტებით;
- შპს N1 სკოლასა და ი.მ. გელა კვანტალიანს შორის გაფორმებული 2016 წლის 25 ივლისის ხელშეკრულებითა და 2016 წლის 20 აგვისტოს მიღება ჩაბარების აქტით;
- შპს N1 სკოლის მიერ შპს ბეკარა იმპორტიდან შესყიდული მერხების ინვოისით N200140822 და მომსახურების გადახდის დამადასტურებელი გადარიცხვის ქვითრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შპს N1 სკოლასა და შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას შორის 2017 წლის 26 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. (დანართი N1 – 1 (ერთი) ფურცელი)

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

დაწესებულებას აქვს სპორტული დარბაზი გასახდელებით, თითო საშხაპითა და სველი წერტილით. კალათბურთისა და ფრენბურთის ინვენტარით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ სპორტის შემდეგი სახეობები: ფრენბურთი, კალათბურთი და ჭადრაკი.

დასტურდება:

- სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია „ზოგადსაგანმამათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572-ე ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნირებების - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - ლაბორატორია. ლაბორატორიაში არის სველი წერილი და ოთახის განიავების საშუალება.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის მიერ ლაბორატორიის შესყიდვის ღირებულების გადახდის ს.ს. საქართველოს ბანკის 2017 წლის 02 და 14 ივნისის ქვითრებით;
- ლაბორატორიის განბაჟების დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებაში არის 15 სველი წერტილი. მიეწოდება, წყალი, ელექტრო ენერგია და ბუნებრივი აირი. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობა თბება ცენტრალური გათბობის სისტემით.

დასტურდება:

- ს.ს. ენერგო პრო ჯორჯიას მიერ მიწდებული ელექტროენერგიის საფასურის შპს შპს N1 სკოლის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- შპს სოკარ ჯორჯია გაზის მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის შპს N1 სკოლის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიწოდებული წყლის საფასურის შპს N1 სკოლის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია 1556 წიგნი. მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკას აქვს საინვენტარო წიგნი. წიგნები დამოშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აქვს ანბანური საძიებო კატალოგი. გამოკრულია ქცევის წესები და სამუშაო საათები.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შპს N1 სკოლასა და შპს ბუქკაფეს შორის გაფომრებული 2015 წლის 01 სექტმებრის ხელშეკრულებით;
- შპს N1 სკოლასა და შპს ბუქკაფეს შორის გაფომრებული 2016 წლის 01 სექტმებრის ხელშეკრულებითა და 2016 წლის 29 სექტემბრის სასაქონლო ზედნადებით;
- შპს N1 სკოლასა და შპს ტელექსის 2016 წლის 02 მარტის სასაქონლო ზედნადებებითა და 2016 წლის 02 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით; (დანართი N1 - 1 (ერთი) ფურცელი)

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სამივე სართულზე გადასაადგილებლად აქვს პანდუსები. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლასა და ი.მ. შალვა მინდიაშვილს შორის გაფომრებული 2017 წლის 20 ივნისის ხელშეკრულებითა და 2017 წლის 15 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის ვიზუალური დათვალიერებით აქვს 2 პრინტერი და 20 კომპიუტერი. აქედან 12 კომპიუტერი განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკომპიუტერების ოთახში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას აქვს 40 კომპიუტერი. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა 2017 წლის 26 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც, შპს N1 სკოლამ, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას გადასცა 20 კომპიუტერი. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს მიეწოდება ინტერნეტი. სკოლის ვებ.გვერდია www.skolaN1.ge , რომელზეც საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციის შესასრულებლად განთავსებულია იფორმაცია სკოლის, მოსწავლეთა მიღების, ადმინისტრაციის, პედაგოგების, სიახლეების, სკოლის სამართლებრივი დოკუმენტაციის, ღონისძებების, ოლიმპიადების, მოსწავლეთა რეიტინგის, სკოლის მიღწევებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლასა და ი.მ. რამაზ ცქიფურიშვილის შორის 2012 წლის 18 აგვისტოს გაფორემბული ხელშეკრულებით, 2012 წლის 28 აგვისტოს გამოწერილი ინვოისებითა და ღირებულების გადახდის 2012 წლის 22 აგვისტოს ქვითრით;
- შპს N1 სკოლასა და ი.მ. რამაზ ცქიფურიშვილს შორის 2011 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, 2011 წლის 11 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით, 2011 წლის 11 დეკემბრის სასაქონლო ზედნადებითა და ღირებულების გადახდის 2011 წლის 22 ნოემბრის ქვითრით;
- შპს N1 სკოლასა და შპს უნიკომს შორის 2016 წლის 02 მარტს გაფორმებული ხელშეკრულლებით, 2016 წლის 05 თებერვლის ინვოისით, ღირებულების გადახდის 2016 წლის 02 მარტის ქვითრითა და 2016 წლის 07 მარტის სასაქონლო ზედნადებით;
- შპს ომეგას და შპს N1 სკოლის 2017 წლის 04 ივლისის სასაქონლო ზედნადებით;
- შპს N1 სკოლასა და შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას შორის 2017 წლის 26 ივნისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით; (დანართი N1 - 1 (ერთი) ფურცელი)
- შპს N1 სკოლასა და შპს იმერეთის სახანძრო დაცვას შორის 2014 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, 2014 წლის 27 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტით, 2014 წლის 18 ნოემბრის სასაქონლო ზედნადებითა და ღირებულების გადახდის 2014 წლის 28 ნოემბრის ქვითრით;
- ინტერნეტის მიწოდების დამადასტურებელი ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

შეფასება:

დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სახანძროს სტენდი. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრობები და საევაკუაციო გეგმები. პირველ სართულზეა მოწყობილი სამედიცინო ოთახი სხვადასხვა სამედიცინო რესურსით. წესრიგის დასაცავად შემუშავებულია მასწავლებლების მორიგეობის განრიგი. სკოლა აღჭურვილია „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერი-მეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების შესაბამისი სამეთვალყურეო სისტემით. კერძოდ, დამონტაჟებულია 17 სამეთვალყურეო კამერა, აქედან 13 კამერა აკონტროლებს შიდა პერიმეტრს, ხოლო 4 გარეს.

დასტურდება:

- შპს ევოლუშენისა და შპს N1 სკოლის 2011 წლის 19 დეკემბრის სასაქონლო ზედნადებითა და ღირებულების გადახდის 2011 წლის 23 დეკემბრის ქვითრით;
- შპს კომლანდისა და შპს N1 სკოლის 2011 წლის 26 მარტის სასაქონლლო ზედანდებითა და ღირებულების გადახდის 2011 წლის 08 აპრილის ქვითრით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- შპს N1 სკოლასა და მოქ. ზურაბ ხვადაგიანს შორის 2014 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს N1 სკოლასა და შპს ALL DIGITAL-ს შორის 2016 წლის 02 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით, 2016 წლის 04 მარტის ასაქონლო ზედნადებითა და 2016 წლის 04 მარტის მიღება ჩაბარების აქტით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესის დანართი N8-ით (სტიქიური უბედურებისა და მასობრივი კატასტროფების დროს (ხანძარი,ელექტროტრამვა, მიწის-ძვრა, მეწყერი ღვარცოფი) მოქმედების გეგმა და თავდაცვის მექანიზმები);
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესის დანართი N13-ით (მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი);
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესის დანართი N14-ით (სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები);
- საევაკუაციო გეგმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შპს N1 სკოლის წესდება და შინაგანაწესი.

შპს-ს წესდება შედგება შემდეგი შინაარსისგან: ზოგადი დებულება; საზოგადოების პარტნიორები, მათი ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები; საზოგადოების ქონება, საწესდებო კაპიტალი და ფინანსები; საზოგადოების მართვა; საზოგადოების წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში; საზოგადოების სამეუნეო საქმიანობა და ორგანიზაციული სტრუქტურა; საზოგადოების თანამშრომლები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შრომითი ურთიერთობები საზოგადოებაში; აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი; საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

სკოლის შინაგანწესი შედგება შემდეგი შინაარსისგან: ზოგადი ნაწილი. ზოგადი დებულებები, სკოლის შინაგანაწესის მიზანი; სწავლის პირობები და სკოლის სტრუქტურა. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება და სწავლის პირობები,სასკოლო კალენდარი, სკოლის სტრუქტურა; სკოლის დაკომპლექტების წესი; თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვის წესი; სამუშაო და დასვენების დრო. სამუშაო დროის ხანგრძლივობა. შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა. თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებისა და გათავისუფლების წესი. ანაზღაურების გაცემის დრო, ოდენობა და ფორმა. სასკოლო დოკუმენტაცია. ადამიანური რესურსების მართვა. სასკოლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი.

სკოლა. მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები. მასწავლებელთა უფლება-მოვალეობანი. მოსწავლის მშობლის უფლებები და მოვალეობები. სტიმულირებისა და პასუხისმგებლობის წესი. მოსწავლეთა სტიმულირების წესი. თანამშრომელთა სტიმულირების წესი. პასუხისმგებლობისფორმები და მისი გამოყენების წესი. სკოლის ფინანსები. სკოლის დაფინანსება. სწავლის საფასური. საზოგადოებრივი კონტროლის ფორმები და ფარგლები. დასკვნითი თანმხლები დებულებები სკოლის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის წესი.

შინაგანაწესის თანმხლები კოკუმენტები:

1. მოსწავლის ქცევის კოდექსი.
2. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი.
3. სკოლის წესდება
4. თანამდებობრივი ინსტრუქციები.
5. საკონკურსო-საატესტაციო დებულება.
6. საქმის წარმოების ერთიანი წესები.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის წესდებით;
- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულებამ წარმოადგინა შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შპს N1 სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ამავე ოქმით დამტკიცებული სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

შპს N1 სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით განსაზღვრულია სკოლის შეფასება (SWOT ანალიზი), წლების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო პროგრამის, სკოლის პერსონალის განახლებისა და სკოლის კულტურის განვითარების მიმართულებებით.

სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შედგება შემდეგი მიმართულებებისგან: სკოლის საკანონმდებლო ბაზის განვითარების აქტივობები, მოსწავლეთათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემის აქტივობები, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების აქტივობები, უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნის აქტივობები, სკოლის ადამიანური და მატერიალური ტრესურსების განვითარების აქტივობები, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის აქტივობები და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობები.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შპს N1 სკოლის სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ამავე ოქმით დამტკიცებული სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:
სკოლის შინაგანაწესის დანართის საქმისწარმოების ერთიანი წესების მიხედვით განსაზღვრულია გამოცმული აქტებისა და კორესპონდენციების აღრირცხვა, რომლის შესაბამისადაც მიმდინარეობს საქმისწარომების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესის დანართით საქმისწარმოების შესახებ;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით;
- გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალებით;
- ოქმების რეგისტრაციის ჟურნალებით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, სკოლას ჰყავს: სკოლის დირექტორი - 1, დირექტორის მოადგილე - 1, ხარისხის მართვის მენეჯერი - 1, ადმინისტრატორი - 1, ბუღალტერი - 1, ბიბლიოთეკარი - 1, ექთანი - 1, საქმისმწარმოებელი - 1, ისტ.მენეჯერი - 1, მნე - 1, დამლაგებელი - 2, მასწავლებელი - 48. მათ შორის უფროსი - 33, ხოლო პრაქტიკოსი - 15 მასწავლებელია.

დასტურდება:

- 2017-2018 სასწავლო წლის საშტატო განრგის სამოქმედოდ შემოღების და საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ“ შპს N1 სკოლის დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის N05/283 ბრძანებით.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისათვის არსებულ მოთხოვნებს.

დასტურდება:

- მასწავლებელთა პირადი საქმეებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი, თანამშრომელთა სტიმულირებისა და პასუხისმგებლობის ფორმები. მასწავლებლები წახალისდებიან ინიციატივების, ოლიმპიადებში მოსწაველთა წარმატებებისათვის და ა.შ.

დასტურდება:

- შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2016 წლის 06 სექტემბრის N1 ოქმით დამტკიცებული შინაგაწესით;

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

დასტურდება:

- გაფორმებული ხელშეკრულებებით;

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

- ხელშეკრულების შესაბამისი შეთანხმებებით.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში. მიმდინარეობს მასწავლებელთა შეფასება სქემით განსაზღვრულ აქტივობებში. გარდა სქემით განსაზღვრული აქტივობებისა მასწავლებლები ერთმანეთს სწრებიან გაკვეთილებზე, პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დასტურდება:

- „მასწავლებელთა შეფასების მიზნით ჯგუფის ჯგუფის შექმნის შესახებ" შპს N1 სკოლის დირექტორის 2015 წლის 26 ოქტომბრის N05/598 ბრძანებით;
- „მასწავლებელთა შეფასების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ" შპს N1 სკოლის დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის N05/282 ბრძანებით;
- მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის მიერ, მასწავლებელთა შეფასების ოქმებით;
- ურთიერთდასწრების დოკუმენტაციით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

დაწესებულებაში შემუშავებული დოკუმენტაციის მიხედვით ხელი შეეწყობა დაცულობისა და სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობის გამოვლენას. სკოლის კოლექტივი აქტიურად საუბრობს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის მაგალითებზე.

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- თანამშრომლებთან გასაუბრებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 – 1 (ერთი) ფურცელი.

ქ. თბილისი
(შევსების ადგილი)

26.07.2017 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.